სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-63

13.07.2022

ბრძანება

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“

უმაღლესი განათლების შესახებ „ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-2-3-4-5 პუნქტების , საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინიტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-3 პუნქტებისა და 26-ე მუხლის, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს (ოქმიN5) დამტკიცებული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე 20 და 21 მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

2022 წლის 15 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

1. საბუთების მიღება შესაბამის ფაკულტეტის დეკანატში დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2022 წლის 15 აგვისტოდან 2022 წლის 30 აგვისტომდე, ყოველდღე 10:00 დან 15:00 საათამდე.
2. საბუთების განხილვა მოხდეს 2022 წლის 30 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით.
3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 8 სექტემბერს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2022 წლის 9 სექტემბრიდან.

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

4. კონკურსი ტარდება სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე).
5. კონკურსი გამოცხადდეს მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების შემდეგ კათედრებზე:

7.1 სპორტის მენეჯმენტის კათედრა

1) სპორტის მენეჯმენტი- ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული

7.2 ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრა

ა) ადამიანის ანატომია-ასოცირებულიპროფესორი-1(ერთი)საშტატო ერთეული

ბ) ადამიანის ფიზიოლოგია- ასოცირებული პროფესორი-2 (ორი) საშტატო ერთეული

გ) ზოგადი და სპორტის ბიოქიმია-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული

დ) სამედიცინო ქიმია-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული

ე) სამედიცინო ბიოლოგია - ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული.

7.3 სპორტული მედიცინისა და კინეზიოლოგიის კათედრა

ა) სპორტული კვება და ნუტრიციოლოგია -ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული

ბ) სპორტული მედიცინა--ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული-

გ) ჰიგიენა --ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული.

დ) მასაჟი-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული.

ე) ფარმაკოლოგია--ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული.

ვ) ადაპტიური ფიზიკური აღზრდა--ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული.

7.4 ბიომექანიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა

ა) კომპიუტერული ტექნოლოგიები-ასოცირებული პროფესორი-2 (ორი) საშტატო ერთეული

7.5 ქართული და უცხო ენების კათედრა

ა) ქართული ენა-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული
ბ) ინგლისური ენა-ასოცირებული პროფესორი-2(ორი) საშტატო ერთეული
გ) ლათინური ენა- ასოცირებული პროფესორი1 (ერთი) საშტატო ერთეული

7.6 სპორტთამაშების კათედრა (ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და მოძრავი თამაშები)

ა) ფეხბურთი-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული
ბ) ფრენბურთი-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული
გ) ჭადრაკი-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული

7.7. სპორტის გამოყენებითი სახეების და ორთაბრძოლების კათედრა (ძიუდო, ჭიდაობა, კარატე, კრივი, ფარიკაობა, ძალოსნობა, ტყვიის სროლა)

ბ) კარატე -ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული

7.8 სპორტის მასობრივი სახეების კათედრა (მძლეოსნობა,ტანვარჯიში, სპორტის საწყალოსნო სახეები)

ა) მძლეოსნობა-ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული
ბ) სპორტის საწყალოსნო სახეები-ასოცირებული პროფესორი-2 (ორი) საშტატო ერთეული

საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო- პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნება პირი, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N 01-27 ბრძანებით დამტკიცებული „ საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის“ შესაბამისად დააგროვებს მინიმუმ 120 ქულას.

კონკურში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი,სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4 ;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია.
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი)
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5(ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალი. ბეჭდურ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ონლაინ ვერსიას.

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება /საჩივარი საკონკურსო კომისიაში. (ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება).

კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე.

რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია